

ASPECTS OF OTAR CHKHEIDZE'S LINGUISTIC KNOWLEDGE
(BASED ON „WHITE BEAR”)

ოთარ ჩხეიძის ენობრივი ცნობიერების ასპექტები
(„თეთრი დათვის“ მიხედვით)

Eka Khanishvili

Doctoral Student of Sokhumi State University,
Tbilisi, A. Politkovskaia 61, 0186, Georgia,
+995 577 09 43 94, khanishvilieka@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-9116-6043>

Abstract. The study of the writer's language and style has a great place in the Georgian linguistic literature, because as Akaki Shanidze points out, a full and comprehensive appreciation of the writer's work is possible only when the form in which he expresses his thoughts and feelings is taken into account, i.e. if his language is studied.

The linguistic world of Otar Chkheidze is outstanding. The writer is generally noticed by a peculiar selection of different linguistic codes and description types. His special, unique style comes from literary traditions and is the result of research.

In the present work, some linguistic and stylistic features of Otar Chkheidze's novel "White Bear" are discussed, in particular, the focus is on the function of phraseology, paremic expressions or aphorisms, the relationship with dialect vocabulary, the 'O' of other words, the nominative 'I' (vowel-based nouns) and emphatic On the frequency of use of 'A' and the stylistic purpose of repetition.

Key words: style, language world, phraseology, dialect vocabulary, research.

ეკა ხანიშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 61, 0186, საქართველო,
+995 577 09 43 94, khanishvilieka@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-9116-6043>

აბსტრაქტი. მწერლის ენისა და სტილის შესწავლას დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, რადგან როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს, მწერლის შემოქმედების სრული და ყოველმხრივი დაფასება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გათვალისწინებულია ის ფორმა, რომელშიც იგი თავის ფიქრებსა და გრძნობებს ასახავს, ე.ი. თუ შესწავლილია მისი ენა.

გამორჩეულია ოთარ ჩხეიძის ენობრივი სამყარო. მწერალი ზოგადად განსხვავებული ენობრივი კოდების, აღწერის ტიპების თავისებური შერჩევით იქცევა ყუ-

რადღებას. მისი განსაკუთრებული, ყველასგან განსხვავებული სტილი სამწერლობო ტრადიციებიდანაც მომდინარეობს და ძიების შედეგაც არის.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ოთარ ჩხეიძის რომან „თეთრი დათვის“ ზოგი ენობრივი და სტილისტიკური თავისებურება, კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ფრაზეოლოგიზმთა, პარემიულ გამოთქმათა თუ აფორიზმთა ფუნქციაზე, დიალექტურ ლექსიკასთან მიმართებაზე, სხვათა შიტყვის ო-ს, სახელობითის ი-ს (ხმოვანფუძიან სახელებთან) და ემფატიკური ა-ს მოხმარების სიხშირესა და გამეორების სტილისტიკურ დანიშნულებაზე.

საკვანძო სიტყვები: სტილი, ენობრივი სამყარო, ფრაზეოლოგია, დიალექტური ლექსიკა, კვლევა,

შესავალი. ყველა შემოქმედს თავისი განსაკუთრებული სტილი და წერის მანერა აქვს. მწერლური სტილი ფარული მოვლენაა, ის სიტყვათა განლაგების უკან დგას, ლექსიკურ თავისებურებათა უკანა დგას და ჰქმნის იმგვარ სახეებს, ნაწარმოების არსის, ძირითადი აზრის გამოკვეთისათვის რომ აუცილებელია. სტილი აქაა საძიებელი, სიტყვათა განლაგების სიღრმეშია საძიებელი, ამიტომ ის უფრო იდუმალია, ვიდრე გეჩვენება ერთი შეხედვითა(ო. ჩხეიძე);

ოთარ ჩხეიძის ნაწერებში თითქოს არაფერია ისეთი, ცოცხალ მეტყველებაში რომ არ გვხვდებოდეს და მწერლობას არ გამოეყენებინოს, მაგრამ ის მაინც გამოირჩევა იმით, რომ „ნამდვილია, ქართულად ნამდვილი, სისხლით, ხორციით, გვარ-ჯილაგით, სულამოწვდენით, ყველა დროში გამოვლილ-გაწვრთნილი სიტყვით, მშობლიურობით, კალმახი ენით...“ (ზვიადაძე, 2023: 85).

გარკვეული ფუნქციით მიმართავს მწერალი დიალექტურ ფორმებს. ხშირად ეს ავტორის სტილის, ნაწარმოების ჟანრისა თუ სტილისტიკის, პერსონაჟის თავისებურებების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ნიშანია. მასთან დიალექტი პერსონაჟის იდენტიფიკაციის ან გეოგრაფიული კუთვნილების მაჩვენებელი კი არ არის მხოლოდ, არამედ ერთ-ერთი უმთავრესი მხატვრული საშუალებაა. ოთარ ჩხეიძეს ამაში არ ჰყავს ბადალი. ენის პოტენცია ვლინდება ფრაზეოლოგიზმთა, ემფატიკური ა-ს, გამეორების უხვი მოხმარებითაც და სხვა.

მეთოდი. სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ კვლევის თვისობრივი მეთოდი.

შედეგები და მსჯელობა. „თეთრი დათვი“ პირველად ჟურნალ „ცისკრის“ 1998 წლის ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა. ეს არის რეალისტური რომანი - მართალი, პირუთვნელი, დაუთმობელი სინამდვილის ამსახველი. რომანი „ უშუალოდ მისდევს „არტისტულ გადატრიალებას“ და მასთან ერთად გამოხატავს ჩვენი საუკუნის 90-იანი წლების ვითარებას საქართველოში, ქართულ ტრაგედიას გამოჰხატავს საერთაშორისო ვითარების ფონზე; გამოჰხატავს გამძვინვარებას რუსული იმპერიალიზმისა, იმის გამო: საქართველო რო ეცლება ხელიდანა, - კავკასია ეცლება; გამოჰხატავს გამძვინვარებას რუსული იმპერიალიზმისა და ქართველ გამცემთა თანადგომას გახელებული იმპერიისადმი“ (ჩხეიძე, 1999: 2).

ოთარ ჩხეიძე ქართულ ენას სიღმისეულად ფლობს და ენაში არსებულ ყველა შესაძლებლობას მიმართავს აზრის სრულფასოვნად გადმოსაცემად. რომანის შინაარსი მრავლისმთქმელია და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სტილიზაციაც –

გამორჩეული, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ავტორისეული ენის, სახისმეტყველებითი აზროვნების, პერსონაჟის მეტყველების სტრუქტურის ლინგვისტური ასპექტების აღწერის პრინციპები, რის საშუალებასაც იძლევა მხატვრული ტექსტი, როგორც ენის შემოქმედებითი რეალიზების ასპარეზი.

ოთარ ჩხეიძის ენა მდიდარია ხატოვანი - თქმებით, აფორიზმებით, იდიომებით. ხშირად ისეთი ფრაზებიც გვხვდება, რომლებიც თვითონ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია და უადრესად მნიშვნელოვანი გახლავთ, როგორც ფრაზეოლოგიური სიტყვის მასალა.

იდიომები, ხატოვანი სიტყვა-თქმები იმდენად ბევრია და საოცრად ტევადი შინაარსისა ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში, რომ მათზე საგანგებო ყურადღების გამახვილება, თავმოყრა-გაანალიზება უდავოდ ხელს შეუწყობს ამ მწერლის ენის გამომსახველობითი პოტენციის სრულად აღნუსხვა - ფიქსირებას და იმის გათვალისწინებას, თუ რამდენად უხვი და მდიდარია საზოგადოდ მწერლის ლექსიკა, რამდენად გაამრავალფეროვნა მან დედაენა ძველი და ახალი ენობრივი ერთეულებით, რომლებიც ან დავიწყებას იყვნიენ მიცემულნი, ანდა არ იქცევდნენ ჩვენი სალიტერატურო ქართულის აქტიური ლექსიკონის ყურადღებას.

ხალხურ, სასაუბრო ენას, ანდაზებს, იგავებს, ფრაზეოლოგიზმებს, რომელთაც ხშირად მიმართავს მწერალი, შეუძლიათ უფრო ძლიერი ზემოქმედება მოახდინონ მკითხველზე, უფრო ძლიერი ველი შექმნან. განსაკუთრებულია მათი ფუნქცია მაშინ, როცა ირონიული ინტონაციაა შესაქმნელი. ასე თითქოს უფრო კარგად ითქმება, უკეთესად გაიგება, ან როგორც თავად ამბობს, უკეთესად შეინიღბება.

რომანში გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც სალიტერატურო ენისათვის ცნობილია, და ისეთნიც, ლექსიკონებში რომ არ ასახულა და მხოლოდ დიალექტურ მეტყველებას შემოუნახავს:

ხელის მოთბობა - სარგებლის, სარფის მიღება:

„გაითბეს, გაითბეს ოდნავადა. თორემ ეს - **მოითბეს ხელი** - მეტაფორაა, სხვა რამესა ნიშნავს“ (ჩხეიძე, 1999: 5);

კვერის ცემა - სირბილისა ან დიდი მუშაობის შემდეგ ცუდ ხასიათზე დადგომა, გულის აცერცეტება: „კვერს დასცემს მეორეი. იდიომია. თუ ჩაჰყვები, სამჭედლოს წარმოადგენ“ (ჩხეიძე, 1999: 179);

კუდიტ ქვა ასროლინა - სასტიკად დაამარცხა, შავი დღე აყარა, სამარცხვინოდ გააქცია: „გამოღრღნის, გამოჰფიტავს, კუდიტ ქვას ასროლინებს. აბა!.. შევესწრებით!.. აიწევს. გაიშლება მხრებში“ (ჩხეიძე, 1999: 186);

თავი ქვას ახალოს - ყოველი ღონე იხმაროს, თავი გამოიდოს; რაც უნდა, ისა ქნას: „საცოდავი ხალხი!.. უსმინოს. ამათაც თავი ქვას ახალონ. დრო იცდის განა, როდის თუ რა კანონს ჩამოაყალიბებენ?..“ (ჩხეიძე, 1999: 277);

ენის წაგდება - ზედმეტი და თავხედური ლაპარაკის დაწყება: „დაემვნენ მუხლებზე. წაიდრიკნენ. ენა წაიგდეს. და იშვა „მოქალაქეთა კავშირი“, პარტია ერთიანი, ყველა პარტია რო უნდა შემოეკრიბა, უთანხმოება რო უნდა მოეშალა, განემტკიცებინა უზენაესობა კანონიერებისა“ (ჩხეიძე, 1999: 266);

თითის მოკაკვა- დამორჩილება: „ეგეც შენაო, - გალალდა გიგილოი, - დაგათვრეო, დაგათვრეო, მოკაკვე თითიო, მოკაკვე, მოკაკვე, თითი მოკაკვეო“ (ჩხეიძე, 1999: 303);

გულს ასკდება- ბოღმა, ბრაზი ახრჩობს, გულზე სკდება: „შორიახლოს მაინც მიბედა პოლიციის უფროსმა. შორიახლოსა. ჩაახველა და გამობრუნდა. გამობრუნდა. ბრუნავდა. ასკდებაოდა გულსა“ (ჩხეიძე, 1999: 210).

მოუსვი ბაყაყური - წადი, დაიკარგე:

„შეიცხადებს. იშვერს ფეხსა და ბაყაყურს მოუსვამს. ხალხურია. „მოუსვი ბაყაყური!..“ - გეტყვიან აბუჩად თუ გიგდებენ. ბაყაყური ცურვის სახეობა. ბაყაყურს რას იკადრებ, უცხოურად გეცოდინება“ (ჩხეიძე, 1999: 251);

თავში ქვა ეხალა, მუცელში სამართებელიო - რაც გინდა ის ქენი, რაც გინდა მოგივიდეს, არ ვდარდობ, არ მენადვლება:

„თავში ქვა ეხალა, მუცელში სამართებელიო. დატუქსვაც ეს იქნებოდა, რჩევა-დარიგებაცა. ეძებნა, ეძებნა ენგურისა და ალაზანს შუა (ჩხეიძე, 1999: 322);

როგორც სხვა თხზულებებში, ამ რომანშიც ხშირია ემფატიკური ა-ს გამოყენების შემთხვევები.

ოთარ ჩხეიძეს ემფატიკურ „ა“-ზე ბევრს წერდნენ. კრიტიკოსები ედავებოდნენ, უშლიდნენ კიდეც მის გამოყენებას - ძალიან აფერხებს თხრობის დინამიკას და მკითხველს განიზიდავსო... თუმცა მას დამფასებელიც ჰყავდა. მოგონებებიდან ვიცით, როცა ქაშვეთის ტაძარში ოთარ ჩხეიძეს ემშვიდობებოდნენ, „ტაძრის კართან იმდულრებოდა ეთერ თათარაიძე: ოთარ ჩეიძესთან ერთად მიდის მისი ემფატიკური „ა“-ც, ასე მახლობელი ჩვენთვის, ახლა სანთელივით მოსაფერებელი რომ გაგვიხდებოდ“ (ჩხეიძე, 2008: 813)

საგულისხმოა თავად მწერლის აზრი ამ „ს“-ს შესახებ, რომელიც მან ივანე ამირხანაშვილთან ერთად დიალოგში გამოთქვა:

„ჩემს ნაწარმოებში უცხო სვერიდები, არც ნეოლოგიზმებით ვარ გატაცებული, მე მგონი დამეთანხმებით. მაშ რა გეჩოთირებათ-მეთქი, აქამდისაც მიკითხავს და ვერაფერი ვერ დაუსახელებიათ ემფატიკური ანის გარდა. მაგრამ ეს განა ისეთი რა ცოდვაა, არაჩვეულებრიობას, სირთულესა და გაუგებრობას რო ჰქმნიდეს?! არა, ეს არავითარი ცოდვა არ არის. აქ არ მოყვები, თუ რატომ მივმართე, რატომ ვიყენებ, აქ მხოლოდ იმის განცხადება მინდა, ჩემი სტილი რო არ ემყარება არავითარ ემფატიკურ ანსა, ამას ამას ამხელა შესაძლებლობა არ გააჩნია. არა, არავითარ შემთხვევაში“ (გოგოლაშვილი, 2022: 60).

ენობრივი თვალსაზრისით ემფატიკური „ა“ -ს ხმარება, რა თქმა უნდა, „არ არის ცოდვა“...

ისიც ფაქტია, რომ ოთარ ჩხეიძესთან, რომ ერთსა და იმავე რომანშიც კი, სხვადასხვა ეპიზოდში არ არის ერთგვარი ამ ა-ს გამოყენება; ნებისმიერ მონაკვეთში ყველა მოსალოდნელ შემთხვევაშიც არ გვხვდება „ა“ ... ისეთ მწერალთან, როგორც ოთარ ჩხეიძეა, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს... როგორც ჩანს, ყურადღება უნდა მიექცეს ქრონოლოგიასაც, თემატიკასაც.

სავრცობი ხმოვანი ა, ტრადიციული მოსაზრებით, ნაშთია განსაზღვრების ნაწილაკისა (ნაწევარისა), მას სხვადასხვა ფუნქციას მიაწერენ. ზოგი მეცნიერი (თამარ ზურაბიშვილი, დამანა მელიქიშვილი) ორ სიტყვას შორის თანხმობანთგამყრელად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ ა-ს ხმარება ჩვეულებრივია აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრ მწერალთათვის, რაც ხალხური მეტყველების გავლენის ბრალია. ხოლო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შესავალში არნოდ ჩიქობავა წერს, რომ „ბოლოკიდური ა -ს დართვა ამჟამად სტილურ საჭიროებას უპასუხებს, ვინემ მორფოლოგიურ ნორმას წარმოადგენს“ (ტ. 1, 37); ალექსანდრე ფოცხიშვილის აზრით კი ა-ს მხოლოდ ფონეტიკური ფუნქცია შემორჩა და ეს ფუნქცია გამოიხატება სიტყვის ბოლომარცვლის ღიაობის შექმნაში. ქართულ ენას აქვს მიდრეკილება, სიტყვის ბოლოში იოლად წარმოსათქმელი პოზიცია შექმნას, რისი საუკეთესო გამოხატულება სწორედ ღია მარცვალია (ფოცხიშვილი, 2000: 26).

„მკვლელებსა, მტაცებლებსა, მექრთამეებსა, ყველა ჯურის ავაზაკებსაო“ (ჩხეიძე, 1999: 32);

„ინიჭებდნენ ხარისხებსა, წოდებებსა, პრემიებსა, ორდენებსა...“ (ჩხეიძე, 1999: 212);

„არა და არაო, აიხირა ოპოზიციამა“ (ჩხეიძე, 1999: 221);

„თან წინდებს მოითრევს ცერებითა, წინდებსაცა, ფეხსაცმელებსაცა“ (ჩხეიძე, 1999: 228);

- „დაკველუცობდნენ შვლის **ნუკრებიცა**“ (ჩხეიძე, 1999: 368);
- „ჩახლართულიყო ხმებიცა ერთმანეთში **მენახშირეთა, მემაწვნიეთა, მემწვანილეთა**“ (ჩხეიძე, 1999: 369);
- „**საფუტკრეცა**, ტბორიც მოჰბმია საკალმახეი“ (ჩხეიძე, 1999: 428).
- კრიტიკოს-რეცეზენტები ემფატიკურ ა-სთან აიგივებენ ხმოვანფუძიან სახელთა სახელობით ბრუნვაში გამოვლენილ ი ხმოვანს (მიწაი, ცაი, ვაჟაი...), რაც, რა თქმა უნდა, ქართლური დიალექტიდან აღებული გრამატიკული ფორმაა :
- ა) ქართლურ დიალექტში სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი დაერთვის ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებსაც: სუფრა-ი, ლობიო-ი, დრო-ი. უპირატესად მაშინ, როცა სახელი წინადადების ბოლოკიდურ პოზიციაშია: „რო გაითხნება, მიწა სუ უნდა ამოყარო, მიყრილი რო აქ მიწაი“...
- ბ) სამხრეთ ქართლურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთაგან -ი დაერთვის, ჩვეულებრივ, საკუთარ ან მათთან გატოლებულ სახელებს: დათა-ი, ილიკო-ი, პავლე-ი... დედა-ი „დედაჩემი“: მამა-ი „მამაჩემი“, ნათლია-ი „ჩემი ნათლია“ (ჯორბენაძე, 1989: 301).
- საინტერესოდ წარმოჩნდება ეს მოვლენა ოთარ ჩხეიძის რომანში : -ი ბრუნვის ნიშანს ყველაზე ხშირად დაირთავენ არსებით სახელები (როგორც საზოგადო, ისე - საკუთარი), ასევე გვხვდება იგი ზედსართავებთან, ნაცვალსახელებთან, რიცხვითებთან, სახელწმინდებსა თუ ზმნიზედებთან.
- საზოგადო არსებით სახელები:**
- „ფრთათა **გედისაი**, მომაკვდავი გედისაი, ვითომ, ვითომაო, მაგრამ ეს ჰო გივი ბერიკაშვილია“ (ჩხეიძე, 1999: 13);
- „გმინავს **ზღვაი**. და გაიპოზა **ზღვაი**. და აღიმართება გველეშაპი. და დააღებს პირსა, ვეება პირსა“ (ჩხეიძე, 1999: 52);
- „აქ მოურგიათ როგორც რო **მოდაი** ახლებური, მოურგიათ და თავს იწონებენ. იწონებენ. , იწონებენ თავსა“ (ჩხეიძე, 1999: 78);
- „ოთახის შუაგულში ქურა ანთია, **ნავთქურაი**, კორეული. ოთხთაგან ერთისათვის მოეტანათ ის **ნავთქურაი**“ (ჩხეიძე, 1999: 95);
- „ხან სად ავარდება ცეცხლი და **მიწაი**, ხან სადა, ხან სადა, - ფეხდაფეხ მოსდევენ. აქ უნდათ მაინცა“ (ჩხეიძე, 1999: 104);
- „რა მოეყურა, - **ხმაი, ხმაი**, ხმა უცნაური, - რა ემართება, რა იზიდავს თუ რას შეუპყრია?!“ (ჩხეიძე, 1999: 129);
- „შუქი მაინც რო შუქი ყოფილა, სითბო მაინც რო სითბო ყოფილა. **სითბოი. სითბოი**“ (ჩხეიძე, 1999: 150);
- „**ძალაი** იდუმალი“ (ჩხეიძე, 1999: 180);
- „დაჭრილთა **ძალამოი**“ (ჩხეიძე, 1999: 187);
- „განხორციელებულიყო **გეგმაი** სტრატეგიული ზედმიწევნითა. ოღონდ ესაა: დაგვიანებულებს რო აღარ უშვებდნენ?“ (ჩხეიძე, 1999: 209);
- „აღმოჰხდებოდა **ხმაი** უნებურადა, ჩაჰყლაპავდა უმაღვე, ჩამოივლიდა დუმილი, დუმილი მტკნარი“ (ჩხეიძე, 1999: 210);
- „იცის: რაც უნდა გაჯანჯლდეს **საქმეი**, ბოლოს უნდა ფულით დამთავრდეს. რაღა სხვის ხელში დამთავრდეს, ბარემ აქ დამთავრდეს“ (ჩხეიძე, 1999: 231);
- „აუხირდა. გადააგდე. შემოათრიე რაღაც **ფუტური**, რაღაც ჩვარი, ათასგან ნათრევი მონძი და თავი მოიწონე“ (ჩხეიძე, 1999: 266);
- „გიგოს დარბაზში ენთო **ლამპაი**. პატარა **ლამპაი**. თავის თავს ანათებდა, ბაადურს დაჰნათოდა“ (ჩხეიძე, 1999: 290);

„არც უნდა გიკვირდეს, ხალხი რო ოცნებაა, **ბრბოი**- სინამდვილე. ცივილიზაცია მოჩვენებაა“ (ჩხეიძე, 1999: 305);

„რაც თუ რამ გაჰყვა ბაადურსა, ჰო ეს იყო: უთავბოლო ჩანაწერები, ხელჯოხიო და ფიალაი“ (ჩხეიძე, 1999: 310);

საკუთარ სახელები:

„ჰო... თავსგადამხდარს უბრუნდება მედეაი“ (ჩხეიძე, 1999: 235);

„უკიჟინებდა თამრიკოი, მისი თამრიკოი“ (ჩხეიძე, 1999: 258);

„და უვლიდა ჟრუანტელი მადამ მანანასა და თვალებს ნაბავდა მადამ **ლანაი** და წამოქენჩრილიყო მადამ **იზაი**“ (ჩხეიძე, 1999: 259);

„და ძრწოდა **ჯაბაი**. ირიბად იცინოდა. ტუჩებს ღიმილი არ ეშვებოდა, შუბლს - შავი ღრუბელი“ (ჩხეიძე, 1999: 270);

„ორბის წავიყვანო, -უშანგიმა თქვა. ისევ იქ ეგულებოდა ბებიდა **ირინეი**“ (ჩხეიძე, 1999: 288);

„ბაადურსაც რო აუხირდება **გიგოლოი**“ (ჩხეიძე, 1999: 303);

„ჩემი გეგმითაო, - ჰო ბურდლუნებდა ბატონი **ზეიკიძეი**, - მე გამრიყესო, - ბურდლუნებდა“ (ჩხეიძე, 1999: 361);

„გამითბობენო, - ამშვიდებს **ჯაბაი**“ (ჩხეიძე, 1999: 361);

ზედსართავი სახელები:

„აუხირდი. გადააგდე. შემოათრე რაღაც **ფუტუროი**, რაღაც ჩვარი, ათასგან ნათრევი ძონძი და თავი მოიწონე“ (ჩხეიძე, 1999: 266);

„დასჩერებოდა რო თავის მუხლებსა ესტრადის **ხუმარაი**, - გაწყალელებული შარვალი რო გადაჰფხრეწოდა ზედა“ (ჩხეიძე, 1999: 269);

„ასე იტყვიან, სახიერი გამოთქმა რო არ დაიკარგოს, თორე შერხევითაც ჰო ვერ შეირხა, უშიშარ რო ქმნილიყო, ვითარცა **უხორციო**“ (ჩხეიძე, 1999: 276);

„ირინე: **სასეიროი** შორიდანა მაცქერალისათვისა, თუ მონაწილეობდი, სასეირო არ იყო“ (ჩხეიძე, 1999: 291);

„იმედი **უმწეოი**, მაინც იმედი“ (ჩხეიძე, 1999: 305);

„ტანკი მოაშუქებს. ხმაც გაჰკვეთს **მრისხანეი**: იარაღი დაჰყარეთო“ (ჩხეიძე, 1999: 120);

„უკვირს ღარიბაშვილსა, ხმა უჩანს **საოპეროი**, პატრონი რო გამოსჩენოდა დროზედა“ (ჩხეიძე, 1999: 147);

„საერთაშორისო კონგრესზე თუ გამოეცხადებოდა და ასე დასძახებდა ხმაი **ზეგარდმოი**“ (ჩხეიძე, 1999: 167);

„მცირე რამ, სულ **მცირეი**. გაუგებრად ლაპარაკი რო სირცხვილი იყოს. სირცხვილი. სიამაყედა ქცეულა“ (ჩხეიძე, 1999: 174);

„რაც თუ რაც არის, ჰხედავს უცება: ორთა წინაშეა. ორი ქობალია. ერთი წვერიანი, მეორე **უწვეროი**“ (ჩხეიძე, 1999: 178).

ხმოვანთა გააქტიურება მელოდიურობის საფუძველია, „გახმოვანებული ფრაზები ძველი ქართული ენის კეთილხმოვანებას გვაგონებს. ცოცხალ დიალექტსა და სალიტერატურო ენას შორის კავშირს ქმნის სწორედ მწერალი, რომელმაც შეძლო ა ხმოვნის გააქტიურებით ეპოვა ის მუსიკალური ჟღერადობა, რომელიც ასე ალამაზებს დარბაისლურ ქართულ მეტყველებას. ამავე მიზეზით ვერ ელევა ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითში სალიტერატურო ქართულში დღეს უკვე დაკარგულ ი ხმოვანს, მხოლოდ დიალექტს რომ შემოუნახავს და მისი გამოყენებით საოცრად გახმოვანებულ ფრაზებს გვთავაზობს“ (ზვიადაძე, 2017). თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ოთარ ჩხეიძე სხვათა

სიტყვის ო-საც ხშირად მიმართავს, აშკარა გახდება, რატომაც ასე განსხვავებული მისი პროზა.

„**მოსკოვშიო**, ახლა **ვაშინგტონშიო**, ანთუ იქაცა და იქაცაო“ (ჩხეიძე, 1999: 266);

„**საქათველოო**, სამშობლო **ხევსურისაო**, შესძახებდა ისე იმგვარადა, თავგანწირული გეგონებოდა სამშობლოსათვისა“ (ჩხეიძე, 1999: 370);

„**ბნელდება. ბნელდება. აღარც რო სიტყვაო**, თითქოს რო სუნთქვაც **აღარაო**“ (ჩხეიძე, 1999: 405);

„თუმცა: არცა **ჩქამიო**. სუნთქვაც **არაო**“ (ჩხეიძე, 1999: 405);

ოთარ ჩხეიძის მოთხრობების სტილის განმსაზღვრელ სხვადასხვა ფაქტორს შორის ერთ-ერთია გამეორება. როდესაც ერთხელ უკვე გამოყენებული ფორმა გარკვეული სახით მეორდება ანდა განაგრძობს არსებობას მომდევნო სიტყვიერ ფორმაში, „ფიქსირებული ფორმის გამეორების“ სახელწოდებითაა ცნობილი (გრიგოლ კიკნაძე). ამ ხერხს მწერალი აზრის ემოციურად დატვირთვის მიზნით მიმართავს - სათქმელს მეტ დამაჯერებლობას სძენს, აძლიერებს ფრაზებს, ყურადღებას ლოგიკურ მხარეზე ამახვილებს.

ფიქსირებული გამეორების ხშირად გამოყენებას ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებებში განსხვავებულად აფასებდნენ. ზოგიერთს ეს ხერხი ხელოვნურად მიაჩნდა:

„**გამეორება**, თხრობის ნაწყვეტ-ნაწყვეტობა, თვითმიზნური დინამიზმი გვხვდება იქ, სადაც ამისთვის საკმარისი საფუძველი არ არსებობს“ (ნ.ნათაძე).

„**საგანგებოდ** გართულებული მეტყველება ტავტოლოგიებით“ (გრ.აბაშიძე)

„**გადატვირთულია** მოსაბეზრებელი მრავალსიტყვაობით, განმეორებით, ტავტოლოგიებით“ (ბ. ჟღენტაძე)

„თითქმის ყოველი სიტყვა ცალკე წინადადებას მოიყოლებს. ასე იქმნება აზრისა და სიტყვის ძნელი ლაბირინთი. ავტორის ლტოლვას განმეორებისაკენ ჭეშმარიტად არა აქვს მიჯნა“ (თ. კოპლატაძე, ზ. ჭუმბურიძე).

განსხვავებულად მსჯელობენ სხვები:

„ოთარ ჩხეიძის სტილისათვის დამახასიათებელი ეს „დაუსრულებელი“ განმეორებანი სამივე დონეზე (ფონეტიკურ, ლექსიკურ და სინტაქსურ) მხატვრულად მოტივირებულია, ღირებული და მნიშვნელოვანია“ (ა. მინდიაშვილი);

„ეს სტილისტური წრებრუნვა, აზრის წრიული ტრიალი ფორმის თვალსაზრისით... მან ამ სტილურ წრებრუნვაშიც მოახერხა აზრებისა და სიტყვების რეფრენული გამეორებიდან ლაბირინთი შეექმნა“ (მ.ჯოხაძე);

როგორც ნ. გელაშვილი წერს: „ეს გადახვევ-გადმოხვევანი, მოთხრობელის ეს „დაბნეულობა“ ესთეტიური ფორმალობის გარდა, აზრობრივ მიზნებს ემსახურება და უაღრესად ორიგინალური ნაწილია ნაწარმოების მთლიანი სტრუქტურისა“...რაც იმაზე მეტყველებს, რომ ოთარ ჩხეიძესთან შემთხვევით არაფერი ხდება.

ოთარ ჩხეიძე ენის გამომსახველობითი საშუალებებით, კერძოდ, გამეორებით, სათქმელს მეტ დამაჯერებლობას სძენს. გამეორება შეიძლება შეგვხვდეს ერთი წინადადების ფარგლებში, მაგრამ შიგ ჩართულია როგორც სრულმნიშვნელოვანი, ისე არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები. ყველაზე მეტი სიხშირით მეორდება ზმნა, რომელიც ხერხემალია წინადადებისა და მეტი დატვირთვა აქვს ყველა სხვა წევრთან შედარებით.

„აკოვოლავებული ტოტები **ხრჩოლავს**, ნედლი ტოტები. **ხრჩოლავს. ხრჩოლავს**“ (ჩხეიძე, 1999: 28);

„ამასლა ეკიდნენ, **ეჭიდებოდნენ**, ხავს **ეჭიდებოდნენ**“ (ჩხეიძე, 1999: 33)

„**ურტყამენ. ურტყამენ. ფეხით ურტყამენ. თავით ურტყამენ. ხელით ურტყამენ.** ყველა **ურტყამს**, ვინც რო დათარეშობს მოედანზედა. **ურტყამს. ურტყამს**“ (ჩხეიძე, 1999: 40);

„თვითონვე ამოტენეს. თვითონვე წყრებიან. თვითონვე **დაფშვნან** ერთ მშვენიერ დღესა, **დაფშვნან**“ (ჩხეიძე, 1999: 400).

გამეორებული ფორმები და- კავშირით არის შეერთებული:

„აპარპალებდა. აპარპალებოდა და აპარპალებდა, ჩაიღველფებოდა და ჩაიღველფებოდა ღამეცა“ (ჩხეიძე, 1999: 6);

„აცხოზდნენ და აცხოზდნენ გენერლებსა სახელდახელოდა, სოხუმშივე აცხოზდნენ.“ გვ 45

გამეორებულია არსებითი სახელები:

„თამარის გამზირზე დაიღვარა სისხლი. ცირკი დაჰყურებდა. ხითხითებდა ცირკი. ველარაფერი გაეგო ცირკსა“ (ჩხეიძე, 1999: 7);

„ცივილიზაცია დოლარი ყოფილა. დოლარი. დოლარი. დოლარი. ძნელი ყოფილა მოხვეტა დოლარისა“ (ჩხეიძე, 1999: 191);

„დერეფანიო. დერეფანი აქ, დერეფანი იქ, დერეფანი, დერეფანი, დერეფანი!“ (ჩხეიძე, 1999: 194);

გამეორებულია ზედსართავი სახელები:

„კარღია ქვეყანას ვერცა მართავთ კარღია კონსტიტუციითა“ (ჩხეიძე, 1999: 422);

ენის ლექსიკურ საგანძურში დიდ ადგილს იჭერს დიალექტური მასალა. დიალექტური ლექსიკა ენის სიმდიდრეა. ყოველ კუთხეში ლოკალიზებულია ათასობით სიტყვა, რომლის მნიშვნელობა მეორე კუთხისათვის ხშირ შემთხვევაში სრულიად უცნობია.

მეცნიერები მიუთითებენ მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტის შესწავლის ორი სხვადასხვა გზის შესახებ: „ერთი არის დიალექტოლოგიური, რომელიც იყენებს სალიტერატურო ტექსტებს, როგორც სასაუბრო მეტყველების დადასტურებას. მეორე მიდგომა განიხილავს დიალექტის გამოყენებას სტილისტიკური თვალსაზრისით, იკვლევს ტექსტში მის ფუნქციას და როლს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საჭიროა ორივე მათგანის სინთეზი“ (ვაჭკაჭიშვილი-ბერიძე, 2016: 41).

გარდა სტილისტიკური ფუნქციებისა, მიუთითებენ მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტიზმების გამოყენების სხვა ფაქტორებზეც: „ა) დიალექტიზმი ავსებს სალიტერატურო ენის ხარვეზებს...ზოგჯერ ამას დადებითი ეფექტიც აქვს- ხდება ტრაფარეტად ქცეული გამოთქმების განედლება, გახალისება...“ (ჯორბენაძე, 1989: 214)

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში დიალექტური ლექსიკის არაერთი ნიმუში გვხვდება.

მწერალი აცოცხლებს დიალექტისათვის დამახასიათებელ სიტყვა- გამოთქმებს და ეს ლექსიკური ერთეულები, საჭირო დროს საჭირო ადგილას მოხმობილი, იმდენად ბუნებრივად ერგებიან სათქმელს, რომ სალიტერატურო ვარიანტით მათი შეცვლა წარმოუდგენელიც კი არის. ზუსტად შერჩეულ და სათქმელზე მორგებულ სიტყვას ყველაფერი შეუძლია. ნაწარმოები მდიდარია როგორც ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულებით, ასევე დიალექტიზმებად გააზრებული არქაიზმებით, რომელთა მონაცვლეობა ენობრივი ექსპრესის საწინდარია:

დუნდგო- ადამიანთა ბრბო: „ეს ცოტა აღარ არის. დუნდგოა. გაუვალი. აღშფოთებაა მოურეველი შეცოდებისა თუ სიბრაულისათვისა“ (ჩხეიძე, 1999: 24);

თეჯირი- შირმა, ტიხარი: „ვერც გაეცინა, - გამსახურდია რო თვითონ დაამხო, ესენი თეჯირებად მიიფარ-მოიფარა“ (ჩხეიძე, 1999: 108);

თქორი- წვრილი, სუსტი წვიმა. ჟინჟლავს მცირედ რომ წვიმს, ცრის: „აღარც რო ქარი შემოვარდნილიო. თქორიც აღარაო. წამითა თუ წუთით მინაბულა ყველა ერთბაშადა“... (ჩხეიძე, 1999: 114);

ყალამი- მხატვრის ფუნჯი. რკინის იარაღი, რომელსაც იყენებენ ქვაზე საწერად ან სახატავად: „მაინც მიაშურა სოხუმსა ახალგაზრდობამა: „ყალამი დააგდეს, ქამანი დააგდეს, კალამი დააგდეს, წიგნები დაჰყარეს, ფრონტს მიაშურეს“ (ჩხეიძე, 1999: 121);

შუმპარი -იგივეა, რაც ცეკვა: „ბარციბურცსაც ასწავლიდა ელცინი თანამეინახეთა, შუმპარი არ იცოდა, ბარციბურცს ასწავლიდა“... (ჩხეიძე, 1999: 144);

მდადე - ქორწილზე დედოფლის გამყოლი ქალი: „ ჩემი მდადე შენ იქნებო, ის მეჯვარედ გვეყოლება“ (ჩხეიძე, 1999: 175);

ნაყრი - მცირეოდენი საჭმელი ლუკმა : „ რამდენი ხანია **ნაყრი** აღარ ჩასვლია პირშია, - აღარც ახსოვდა თითქმისა“ (ჩხეიძე, 1999: 177);

თლაშო- არყის სასმელი ნორმირებული ჭიქა: „ გასაბჭოებას რა ვუთხარი, თორემ ახლა თქვენ ჰო სამიკინტოების დახლებში უნდა იდგეთ და თითო **თლაშოს** უვსებდეთ საჩქაროდ შემოსულ მედროგებს“ (ჩხეიძე, 1999: 191);

სარფა - გამორჩენა, მოგება : „ **სარფა** სხვაგანაც არ იყო საგრძნობი, რა ესპორტებოდა დაქცეულ ქვეყანასა, - ის მაღაზია სულაც წყალს მიჰქონდა“ (ჩხეიძე, 1999: 245).

ფშხალი - წვრილად ნაზხარი: „ღამეც ათიეს და ვეღარც არჩევენ: ვის ვის ზურგსუკან ეკუთვნის ადგილი. ვეტერანები იფშხალებიან“ (ჩხეიძე, 1999: 9) და სხვ.

დასკვნა. ნებისმიერი ავტორის შემოქმედების კვლევა იძლევა საშუალებას, გამოვლინდეს მის მიერ სულიერი სამყაროს თავისებურად აღქმის სპეციფიკა, რაც, რა თქმა უნდა, ენობრივი რესურსის შერჩევას ეფუძნება. სიტყვა და საერთოდ კონტექსტი აღძრავს გარკვეულ ასოციაციებს. ენობრივი რესურსის მახვილგონივრული შერჩევით მწერალი ხატავს ეპოქას, მწერალი ააშკარავებს უამრავ სიყალბეს და ამას მაღალოსტატურად ახერხებს სწორედ ირონიული ინტონაციების შექმნით, რომლის ენობრივი საფუძველი გახლავთ სტილისტიკური ფუნქციით გამოყენებული გრამატიკული ფორმები და, რაღა თქმა უნდა, მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკა-ფრაზეოლოგია.

მაკა ჯოხაძე წერს, რომ „ოთარ ჩხეიძის სტილი ერთგვარი მედიუმია, გამტარია მზესა და მიწას შორის, ცასავითაა, მზის ენერგიას რო ფილტრავს და აკავებს. რომ არა ცა, მზის მხურვალეობა გადაბუგავდა დედამიწას. ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაშიც ასეა. იმდენი საიდუმლო, ისეთი პროცესები და მოვლენები იმალება და კავდება მისი სტილისტიკით, რომ არა ეს ხელწერა, მათი ნიაღვრები წამლეკავი აღმოჩნდებოდა გონებისათვის“.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი, გ. (2022). *ენა და მწერალი (ფიქრები ოთარ ჩხეიძეზე)*. თბილისი: გამომცემლობა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა“.

ზვიადაძე, თ. (2017). ზოგი ტოპონიმის ახლებური გააზრებისათვის. „სჯანი“, თბილისი.

ზვიადაძე, თ. (2023). მწერლის ენობრივ-შემოქმედებითი სამყარო. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

კაჭკაჭიშვილი-ბერიძე, მ. (2016). დიალექტი და თანამედროვე ენა. *37-ე დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები*. თბილისი.

ფოცხიშვილი, ალ. (2000). *ქართული ენა: ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები*. თბილისი: გამომცემლობა „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტამბა“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1990). წიგნი - 1-2.

ჩხეიძე, ო. (1999). *თეთრი დათვი*. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“.

ჩხეიძე, რ. (2008). *ავისტოს შვილები: მამაჩემი ოთარ ჩხეიძე*. თბილისი.

ჯორბენაძე, ბ. (1989). *ქართული დიალექტოლოგია*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

REFERENCES

- gogolashvili, g. (2022). *ena da mts'erali (pikrebi otar chkheidzeze) [Language and Writer (thoughts about Otar Chkheidze)]*. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publication.
- zviadadze, t. (2017). some for a new understanding of toponyms. *sjani [Sjani]*. Tbilisi.
- zviadadze, t. (2023). Linguistic-creative world of the writer. Tbilisi: Publishing House „Universal”.
- k'ach'k'ach'ishvili-beridze, m. (2016). dialekt'i da tanamedrove ena [Dialect and Modern Language]. *37-e dialekt'ologiuri sametsniro sesiis masalebi [Materials of the 37th Dialectological Scientific Session]*. Tbilisi.
- potskhishvili, al. (2000). *kartuli ena: lingvist'uri da ekst'ralingvist'uri asp'ekt'ebi [Georgian Language: Linguistic and Extralinguistic Aspects]*. Tbilisi: Publishing House "Sulkhan-Saba Orbelian University Printing House".
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni [Explanatory Dictionary of the Georgian Language]*. (1990). Book 1-2.
- chkheidze, o . (1999). *tetri datvi [White Bear]*. Tbilisi: Publishing House „Lomisi“.
- chkheidze, r. (2008). *agvist'os shvilebi: mamachemi otar chkheidze [Children of August: My Father Otar Chkheidze]*. Tbilisi.
- jorbenadze, b. (1989). *kartuli dialekt'ologia [Georgian dialectology]*. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.